ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №151
CPV: 72260000 - პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურებები

თბილისი **05 ოქტომბერი, 2017 წელი**

ერთის მხრივ – **სსიპ - მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი** (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის **ზურაბ გეწაძის** სახით და მეორეს მხრივ - **ფიზიკური პირი - ნიკოლოზ ადუაშვილი** (შემდგომში - მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 24.01.2012წ №99 განკარგულების, გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია - **მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის - „საჩუქარი 2017“** ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კულტურის საქალაქო სამსახურთან 05.10.2017წ გაფორმებული №08.05/103 ხელშეკრულების საფუძველზე ქალაქ თბილისის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებით, როგორც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებისათვის, **მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის „საჩუქარი“** (ინტერნეტ-საიტის) პროგრამულ-კონსტრუქციული განახლება-ადმინისტრირების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.

1.2. ხელშეკრულების ობიექტია:

დასახელება	ერთეულის ფასი ლარი	ჯამური ფასი ლარი
ფესტივალის „საჩუქარი“ ინტერნეტ-საიტის პროგრამულ-კონსტრუქციული განახლება-ადმინისტრირება	2 700.00	**2 700.00**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ჯამური ღირებულებაა **2 700,00 (ორიათას შვიდასი) ლარი**, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას შემსყიდველი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2. მომსახურების მიწოდების ადგილია - თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ.№164, ხოლო მიწოდების თარიღი - **2017 წლის 12 ნოემბრის** ჩათვლით.

4.3. მომსახურების მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენა (ასეთის არსებობისას).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია თეატრის სადადგმო ნაწილის უფროსი ვლადიმერ სტურუა.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- გადაუხადოს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულების ღირებულებაში აღნიშნული თანხა შესაბამისი გრაფიკით, ასევე მიაწოდოს ტექსტური, გრაფიკული და ფოტო მასალა, რომელიც საჭირო იქნება ვებ-გვერდის სტრუქტურის და დიზაინის დასამზადებლად.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- - დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
- "შემსყიდველისთვის" მოახდინოს ვებ-გვერდის დამზადება წინასწარ შეთანხმებული ვარიანტით: სტრუქტურა, დიზაინი, პროგრამული შესაძლებლობები (პროგრამული ენები:PHP, MySQL, JavaScript, CSS, HTML; 2 ენოვანი; სოციალურ ქსელებში კონტენტის გაზიარება; მნახველთა სტატისტიკის ჩვენება) და მისი განთავსება ინტერნეტ სივრცეში "შემსყიდველის" მიერ შეძენილ ჰოსტინგზე. ვებ-გვერდის მართვა შესაძლებელი იქნება შესაბამისი "ადმინ-პანელის" (CMS) გამოყენებით, ამისთვის "მიმწოდებელი" მოამზადებს "შემსყიდველის" ერთ თანამშრომელს, რომელიც თავად განათავსებს ვებ-გვერდზე კონტენტს (ტექსტური, ფოტო და ვიდეო მასალა).

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.05%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილობრივ შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.05%-ს.

8.6. იმ შემთხვევაში, თუკი მხარის მიერ გადასახდელი (მხარისათვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დაკისრებული) პირგასამტეხლოს საერთო ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება **2017 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით და/ან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

9.2. ხელშეკრულებაში შესასრულებელი სამუშაოს შესრულების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათ) დღეში. ამის შემდეგ „მიმწოდებელი” ვებ გვერდს უკვე განათავსებს ინტერნეტში, რის შემდეგაც „შემსყიდველს” საშუალება ექნება განახორციელოს საიტის

ტესტირება და შემოწმება, თავისი ინფორმაციის განთავსების რეჟიმში. უწესივრობების აღმოჩენის შემთხვევაში ხდება მისი გასწორება უმოკლეს ვადაში. თუ მუშაობის პროცესში „შემსყიდველის" მხრიდან ხდება წინასწარი შეთანხმებული ვარიანტიდან მნიშვნელოვანი გადახვევა და კორექტივების შეტანა, ამან შეიძლება გამოიწვიოს როგორც ვადის, ასევე ღირებულების ცვლილება, რაც „მიმწოდებლის" მხრიდან უნდა იყოს შესაბამისად ლოგიკურად დასაბუთებული. ყველაფერი წყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზებს.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, თუ აღნიშნული მისი მიზეზითაა გამოწვეული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.